

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

### ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის იანვარ-სექტემბრის თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 13 922.3 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 10 505.2 ათასი ლარის შემოსულობები, აქედან 1127. 1 ათასი ლარი არის გასულ წელს ავანსად გადარიცხული სახსრები, რომელიც დაბრუნდა მიმდინარე წელს ხელშეკრულებების შეწყვეტისა და სადაზღვევო კომპანიების მიერ საავანსო ვადის გასვლის გამო და აღირიცხება შემოსულობებში.

ცხრა თვის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 75.5 %-ით და გასული წლის ცხრა თვეში მიღებულ შემოსულობებს აღემატება 3 271.0 ათასი ლარით. 2018 წლის ცხრა თვის შემოსულობები შეადგენდა 7 234.2 ათას ლარს. მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაზრდილია ფაქტიურად მიღებული გადასახადები და სხვა შემოსავლები, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები არის შემცირებული, გათანაბრებითი ტრანსფერის გაუქმების გამო, თუმცა აღსანიშნავია რომ სახელმწიფო ფონდებიდან მიღებული ტრანსფერები, მ. შ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამა, სპეც ტრანსფერი და ცენტრალური სსიპების გრანტები, გასულ წლის ცხრა თვესთან შედარებით მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს 1400,5 ათასი ლარით მეტი.

**გადასახადებში** მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 4 489.8 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 4 016.6 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი დაგეგმილი 150,0 ათასი ლარის ნაცვლად 246,4 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი დაუგეგმავად 3,6 ათასი ლარი არის მიღებული ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 4 339.8 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 3770.3 ათასი ლარი, გადასახადების გეგმა შესრულებულია 89,5 %-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა 473,7 ათასი ლარი, დღგ-ს გეგმის შეუსრულებლობის გამო.

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები** ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 6 995,6 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 3 869.9 ათასი ლარი, 55,3 %, მ. შ.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად მიღებულია სრულად 103,5 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი

ტრანსფერები ცხრა თვეში დაგეგმილი 6892,1 ათასი ლარიდან მიღებულია 3766,4 ათასი ლარი, აღსანიშნავია რომ სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ცხრა თვის გეგმები განსაზღვრულია ამ პერიოდში აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, აქედან, კაპიტალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 5 176,6 ათასი ლარიდან მიღებულია 2 650.1 ათასი ლარი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მისაღები 680,0 ათასი ლარიდან 378,5 ათასი ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან- სოფელ გოლათუბნის სხვერისა და სადგურის უბნის გზის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი თანხები 245,1 ათასი ლარიდან 48,7 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერით დაგეგმილი 174,0 ათასი ლარიდან მიღებულია 72,8 ათასი ლარი, აქედან, სტიქიის შედეგად დაზიანებული ლელვნის გზის სარეაბილიტაციოდ საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 129,0 ათასი ლარიდან 27,8 ათასი ლარი და საცხოვრებელი სახლებისათვის გადასახური მასალის შესაძენად დაგეგმილი 45,0 ათასი ლარი სრულად არის მიღებული. გრანტები ცენტრალური სსიპებიდან ცხრა თვეში ასევე სრულად არის მიღებული და შეადგენს 616,3 ათასი ლარს.

**სხვა შემოსავლების ცხრა თვის გეგმა** განისაზღვრა 2 406,4 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 2 596,4 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, გეგმა შესრულებულია 107,9 % -ით და გეგმის ზევით მობილიზებულია 190,0 ათასი ლარით მეტი, გეგმა შესრულებულია სხვა შემოსავლების ყველა სახეში გარდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლისა, აღნიშნულ სახეში დაგეგმილი 36,4 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 24.4 ათასი ლარი, რაც შეეხება დანარჩენ სახეებს, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 33,9 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 59,9 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 45,0 ათასი ლარის ნაცვლად 46,6 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი დაგეგმილი 25,1 ათასი ლარიდან მიღებულია 29,9 ათასი ლარი, შემოსავალი ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან დაგეგმილი 1139,0 ათასი ლარის ნაცვლად 1305,6 ათასი ლარი და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი შემოსულია 1 128.1 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** შემოსულობები ცხრა თვეში დაგეგმილი 30,5 ათასი ლარიდან შემოსულია 22,3 ათასი ლარი, აქედან 17,3 ათასი ლარი ძირითადი ქონების გაყიდვიდან და 5,0 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან.

სულ მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის საკუთარი შემოსულობების გეგმა შეადგენს 5 810.2 ათას ლარს (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების

კლება) ხოლო ფაქტიურად მიღებულია 5 533,9 ათასი ლარი, ე.ი. გეგმა შესრულებულია 75,5 %-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა 276,3 ათასი ლარი, რაც ძირითადად დღგ-ზე მოდის.

2019 წლის პირველი იანვრისათვისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან მიმდინარე წლის წლიური ხარჯების დასაფარავად გამოყენებულია 4689,5 ათასი ლარი, მ. შ 4 087,7 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და 601,8 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. აქედან ცხრა თვის ხარჯებში მიმართულია 3406,6 ათასი ლარი, აქედან - სახ. ფონდების ნაშთიდან 2,937,7 ათასი ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთიდან 468,9 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ცხრა თვის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 17 328.9 ათასი ლარი, ფაქტიური გადასახდელები კი შეადგენს 10 056.8 ათასი ლარს, გადასახდელები დაფინანსებულია მხოლოდ 58,0 %-ით, თუმცა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 240.5 ათასი ლარით, გასული წლის ცხრა თვის გადასახდელები შეადგენდა 9 816.3 ათას ლარს.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებას, მიმდინარე წლის ცხრა თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაგეგმილი იყო 11 049,8 ათასი ლარის ხარჯების გაწევა, აქედან 2019 წელს გამოყოფილი გრანტების გეგმით 6995,6 ათასი ათასი ლარი, (მ. შ მიზნობრივი ტრანსფერით დელეგირებული უფლება მოსილებების განსახორციელებლად 103,5 ათასი ლარი, უშუალოდ სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებით 6892,1 ათასი ლარი) 2019 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ფონდების ნაშთიდან 2937,7 ათასი ლარი და წინა წელს გაცემული და მიმდინარე წელს დაბრუნებული სახელმწიფო ფონდების სახსრებიდან მიღებული შემოსავლებით 1116,5 ათასი ლარი;

ფაქტიურად ცხრა თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან ათვისებული იქნა მხოლოდ 4615,4 ათასი ლარი, მათ შორის 3 464,5 ათასი ლარი 2019 წელს გამოყოფილი ფონდების სახსრებიდან და 1150,9 ათასი ლარი წინა წლების დარჩენილი სახელმწიფო ფონდების სახსრების ნაშთიდან . სახელმწიფო ფონდების ათვისების პროცენტი შეადგენს 41,8 %-ს. 2018 წლის ცხრა თვესთან შედარებით სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვა შემცირებულია 304,3 ათასი ლარით. (2018 წლის ცხრა თვეში სახელმწიფო ფონდებიდან დახარჯული იყო 4919,7 ათასი ლარი) ავანსების სახით გაცემულია 1653,6 ათასი ლარი.

**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე** დაგეგმილი 1 821.4 ათასი ლარიდან გაწეულია 1 705.1 ათასი ლარი და დაფინანსებულ 93,6 %-ით. მ. შ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2019 წლის ცხრა თვეში განსაზღვრული 486,4 ათასი ლარიდან გაწეულია 458.2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 94,2 %.

მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 1 323.4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1 246.9 ათასი ლარი, ანუ 94,2 პროცენტით.

მუნიციპალიტეტის 2019 წლის წლიური სარეზერვო ფონდი განისაზღვრებოდა 50,0 ათასი ლარით, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგმარეობით სარეზერვო ფონდში ირიცხება 21,5 ათასი ლარი და 2019 წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერის ბრძანებით განაწილებულია 28.5 ათასი ლარი, აქედან

-10,0 ათასი ლარი მიიმართა სოფელ მარელისში მცხოვრები მამუკი ლორთქიფანიძის მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად;

- 2.5 ათასი ლარი ძლიერი წვიმების შედეგად დაზარალებული - სოფ. ჩხერში მცხოვრები თემური ლურსმანაშვილისა და გივი ეჯიბაძის, სოფელ ბორითში მცხოვრები შალვა კურტანიძისა და სოფ მაქათუბანში მცხოვრები ნუგზარ შველიძისათვის ზიანის ასანაზღაურებლად სამშენებლო მასალის -10 ტონა ცემენტის შესაძენად;

- 10,0 ათასი ლარი სოფელ ბეჟათუბანში მცხოვრები თამაზი კაკიაშვილისათვის ახალი საცხოვრებელი სახლის შესასყიდად, რომლის საკუთარი სახლი 2018 წელს მთლიანად დაინგრა სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროცესში და მშენებლობის მწარმოებელმა კომპანიამ უარი განაცხადა ზარალის ანაზღაურებაზე.

- 3,0 ათასი ლარი გამოიყო დაბა ხარაგაულში მცხოვრები ირაკლი გოგსაძის შვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრების მიზნით.

- 3,0 ათასი ლარი კი დაბაში მცხოვრები მოქალაქის სპეციფიური მკურნალობისათვის.

**თავდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად** დაგეგმილი 67.3 ათასი ლარიდან დახარჯულია 56,7 ათასი ლარი, მ.შ. 47.4 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 9,3 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამხედრო სამსახურის შესანახი ხარჯები შემცირებულია 6,0 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2019 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 11 466.3 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 5 114,0 ათასი ლარით, 44,6 % -ით, რაც გასული წლის ცხრა თვის შედეგებზე 726,7 ათასი ლარით ნაკლებია, გასულ წელს აღნიშნულ პროგრამას შესაბამის პერიოდში მოხმარდა 5 840.7 ათასი ლარი, თუმცა საკუთარი სახსრებით გაწეული ხარჯები მიმდინარე წლის ცხრა თვეში 154.0 ათასი ლარით ჭარბობს წინა წლის შესაბამის პერიოდში გაწეულ ხარჯებს, და სახელმწიფო ფონდებიდან გაწეული ხარჯები 880,7 ათასი ლარით ნაკლებია წინა წლის ცხრა თვეში გაწეულ ფონდების ხარჯებზე. (2018 წლის ცხრა თვეში სახ. ფონდებიდან ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდა 4817,9 ათ. ლარი და საკ. სახსრებიდან 1022,8 ათ. ლარი)

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 9 509,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 3 850.2 ათასი ლარი, 40,5 %;

მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა-შენახვის ხარჯებზე მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დახარჯულია 3 662,3 ათასი ლარი, აქედან 3 392,41 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 270,1 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. ამასთან აღნიშნული ქვეპროგრამიდან შექმნილია ვიდეო აპარატურა 25,1 ათასი ლარის ღირებულებით.

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 595,3 ათასი ლარიდან გაწეულია 181,98 ათასი ლარი, აქედან სახ. ფონდების სახსრებით 176,8 ათასი ლარი და 5,2 ათასი ლარი საკ. სახსრებით.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად გაწეულია 5,9 ათასი ლარი.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ქვეპროგრამაზე გათვალისწინებული 995,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 878,6 ათასი ლარი, 88,3%;

სანიაღვრე არხების მოსაწყობად დაგეგმილი 6,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 0.9 ათ. ლარი; მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქციაზე 60.3 ათასი ლარიდან 31.2 ათასი ლარი; წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 91,8 ათასი ლარიდან 40,2 ათასი ლარი. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციის ხარჯები ცხრა თვეში დაგეგმილი 14,0 ათასი ლარიდან გაწეულია 13,3 ათასი ლარი; ა(ა)იპ

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დასაფინანსებლად დაგეგმილი 822,3 ათასი ლარიდან გაწეულია 793,0 ათასი ლარი,

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ქვეპროგრამაზე დაგეგმილი 207.8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 105.7 ათასი ლარი, აქედან სკვერების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 204.8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 105,7 ათასი ლარი, მ. შ. სახ. ფონდების სახსრებით 90,7 ათასი ლარი და საკ. სახსრებით 15,0 ათ. ლარი.

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 2019 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 744,4 ათასი ლარიდან გაწეულია მხოლოდ 279,6 ათასი ლარი, აქედან საკუთარი სახსრებით 2,0 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან 277.6 ათასი ლარი.

**განათლების პროგრამაზე** 2019 წლის ცხრა თვეში გათვალისწინებული 2 098,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 528,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 72,8 % პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი განათლებაზე დახარჯულია 840,2 ათასი ლარი, სკოლა-ინტერნატის სუბსიდირებაზე – 83.2 ათასი ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 74.9 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფისათვის 335.7 ათასი ლარი და სკოლების რემონტზე - 194,2 ათასი ლარი

სულ განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაწეულია 628,8 ათასი ლარით მეტი ხარჯი. გასული წლის ცხრა თვეში განათლებას მოხმარდა 899,5 ათასი ლარი, სხვაობა ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტისათვის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირების გადმოცემითა და სკოლების რემონტებზე სახ. ფონდებიდან გაწეული სახსრების ხარჯვით, თუმცა ასევე შესამჩნევად არის გაზრდილი სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანების ხარჯები გასულ წელთან შედარებით.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯების პროგრამაზე** დაგეგმილი 1 038,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 998,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,2 პროცენტით, გასულ წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მიმდინარე წელს აღნიშნულ პროგრამის დაფინანსებას მოხმარდა 101,8 ათასი ლარით მეტი, გასული წლის ცხრა თვეში აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 896,7 ათასი ლარი.

სპორტის განვითარებას მიმდინარე წლის ცხრა თვეში მოხმარდა 296,7 ათასი ლარი. მ. შ. სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 3,0 ათასი ლარი ხოლო ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 293,7 ათასი ლარი.

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 603,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 585,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 97,0 პროცენტით, მ. შ. ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 78,6 ათასი ლარი, ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე 497,7 ათასი ლარი, ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამაზე დაიხარჯა 8,6 ათასი ლარი;

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირებაზე 35,9 ათასი ლარი; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 10,8 ათასი ლარი და რელიგიის დაფინანსებაზე 70,0 ათასი ლარი.

**მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე** ცხრა თვეში დაგეგმილი 837,2 ათასი ლარიდან დაიხარჯა 654,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 78,1 % - ით. ამ პროგრამით მიმდინარე წელს გასულის წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 128,8 ათასი ლარით მეტია გაწეული, 2018 წლის ცხრა თვეში 525,4 ათასი ლარი იქნა გაწეული.

აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 96,5 ათასი ლარი, მ. შ. 51,8 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 44,7 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

სოფლის ამბულატორიების სარეასბილიტაციო სამუშაოებზე 56,8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 1,6 ათასი ლარი.

სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილი 679,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 556,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 81,1 %-ით, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 65,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 396,9 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 17,4 ათასი ლარი, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვაზე 0,5 ლარი და სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე 76,1 ათასი ლარი, აქედან 48,5 ათასი ლარი საქ. მთავრობის განკარგულებებით და 27,6 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.